ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N GF-H/SSP/G-519

ქ. თბილისი 15 დეკემბერი 2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები არიან: ერთის მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კოტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გენერალურის დირექტორის მოადგილის/პროგრამების დირექტორის ირმა ხონელიძის სახით და მეორეს მხრივ შპს "თეგეტა მოტორსი" (შემდგომში "მიმწოდებელი") მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით.

2. ხელშეკრულების ობიექტი, გაფორმების საფუძველი და დაფინანსების წყარო.

2.1. ხელშეკრულების ობიექტია აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული **(„საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა")** პროგრამის ფარგლებში ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის **(CPV 34300000 - მინის საწმენდი ჯაგრისი, ჰაერის და სალონის ფილტრი)** პროდუქტების შესყიდვა.

2.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული პროგრამა - **„საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა" – (კატეგორია NHP საბიუჯეტო ხაზი 336).**

2.3. ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება.

3. შესყიდვის საგანი.

3.1. შესყიდვის საგანია „შემსყიდველის" მფლობელობაში არსებული ავტომანქანის (HYUNDAI IX35, სახელმწიფო სარეგისტარაციო №MM369VV) ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის (მინის საწმენდი ჯაგრისი, ჰაერის და სალონის ფილტრი) ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **114.00 (ას თოთხმეტი)** ლარს;

4.2. საქონლის ერთეულის ღირებულება მოცმულია ხელშეკრულების დანართი №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

4.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განსახორციელებლად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან/და საამისოდ უფლებამოსილი პირი.

5.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარგდენა, საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მიმწოდებელს.

6. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

6.1. საქონლის მიწოდება ხორციელდება „მიმწოდებლის"-ს სერვის ცენტრში .

6.2. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება საქონლის ინსპექტირება, რომელსაც განახორციელებს ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

7.2. საქონლის მიწოდებაზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელები.

7.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით. სასაქონლო ზედნდებში ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურა წინამდებარე ხელშეკრულების ნომრის მითითება სავალდებულოა.
7.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 7.3. პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტების წარდგენა. აღნიშნული დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის დაგვიანებით მიწოდების შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.
7.5. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 7.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა (კანონმდებლობით დადგენილი წესით) საქონლის მიწოდების დასრულების თარიღიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მიწოდებული საქონლის გარანტია და წუნდებული საქონლის გამოსწორების ვადები
8.1. მიწოდებულ საქონელზე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, დასაბუთებული შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

9. ანგარიშსწორება
9.1. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება საქონლის მიწოდების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
9.2. ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად ერთჯერადად.
9.3. ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს: მიღება-ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშფაქტურა და სასაქონლო ზედნადები მიწოდებული საქონლის აღწერით, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო რაოდენობის მითითებით.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონლის მიწოდება.
10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მიწოდებული საქონლის ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-11 და მე-15 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
10.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს:
ა) მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;
10.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული ჩარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;
10.5. მომწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:
ა) ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს შემსყიდველს სხვა არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა;
გ) გაეცნოს და დაიცვას გლობალური ფონდის (დონორის მიერ პერიოდულად განახლებადი და გლობალური ფონდის ვებ. გვერდზე http://www.theglobalfund.org/en/documents/governance/ განთავსებული) „მიმწოდებლების ქცევის კოდექსი“ და ასევე უზრუნველყოს მისი გაცნობა ქვეკონტრაქტორებისთვის (არსებობის შემთხვევაში);

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
11.1. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
11.2. ხელშეკრულების მე-9 მუხლით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
11.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.4. იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებას მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს ოდენობით.
11.5. ერთი მხარის მიმართ პირგასამტეხლოს 3%-ს ოდენობით დაფიქსირების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
11.6. მხარე ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები

12.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ფორს-მაჟორული გარემოებები

13.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

13.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

გ) ეპიდემიები;

დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

13.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

13.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

13.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

13.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

13.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

13.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

15.2. ხელშეკრულება, ასევე შესაძლებელია შეწყდეს იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წუნის გამოსწორებას წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესაბამისად.

15.3. მხარეთა შეანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობით 15 (თხუთმეტი) დღით ადრე აცნობოს აღნიშნულის თაობაზე. ხელშეკრულების შეწყვეტას უნდა გააჩნდეს ობიექტური დასაბუთება.

15.4. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

15.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

16. სხვა პირობები

16.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

16.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

16.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

16.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

16.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

16.6. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

16.7. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი - „შემსყიდველთან".

16.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი":	„მიმწოდებელი":
სსიპ "ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კოტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"	**შპს „თეგეტა მოტორსი"**
ქ. თბილისი, ასათიანის ქ. №9 ს/კ 211324351	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებელის ხეივანი მე–12 კმ, №5 ს/კ 202177205
სახელმწიფო ხაზინა ბ/კ TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	სს "თიბისი ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE80TB0600000024467853
ირმა ხონელიძე გენერალური დირექტორის მოადგილე	**თემურ კოხოძე** გენერალური დირექტორი

დანართი №1

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № GF-H/SSP/G-519

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ფილტრი ჰაერის (Filtron AP107/8)	ცალი	1	27.00	27.00
2	ფილტრი სალონის (Filtron K1232)	ცალი	1	20.00	20.00
	მინის საწმენდი (AR 601) S A-TWIN 600/400 მმ	ცალი	1	67.00	67.00
	სულ დღგ–ს ჩათვლით:				114.00

„შემსყიდველი“:

სსიპ “ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კოტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი”

ქ. თბილისი, ასათიანის ქ. №9
ს/კ 211324351

სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

ირმა ხონელიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე/ პროგრამების დირექტორი

„მიმწოდებელი“:

შპს „თეგეტა მოტორსი“

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებელის ხეივანი მე–12 კმ, №5
ს/კ 202177205

სს “თიბისი ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი
ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE80TB0600000024467853

თემურ ჯობლიძე
გენერალური დირექტორი